საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3181

სააღდგომო ეპისტოლე
2022

„ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ(მამისა),რაჲთა ყოველი, რომელი ხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა“ (იოანე 6,40).

ააღდგომილი მაცხოვრის, ქრისტეს მიერ ძვირფასო მამანო და ძმანო,

კვლავ დადგა ყოვლადსახარულევანი დღე უფლის აღდგომისა, დღეცისკროვანი და ნათელმფენი!ჭეშმარიტად შეუძლებელ-არს, რომჩვენს მაცხოვარს, იესო ქრისტეს, თავისი მოძღვრებით ერთგულმიმდევართა აღდგომის უტყუარი პირობის დამდებს,თავად აღდგომავერ ძალ-ედვათვითმპყრობელობით! ვითარცა კაცი ჯვარსეცვა იგი, ივნო და დაეფლა, მაგრამ ვითარცა ღმერთი აღდგა და მოგვანიჭა მარადიული, უხრწნელი და დაუსრულებელი სუფევა.

გარდამოხდა მიწაზე განკაცებული ღმერთი, რათა აღასრულოს ნება მამისა ღმრთისა და გამოაცხადოს დიდება თვისი, „დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“(იოანე 1,14). ძე და სიტყვა მამისა განკაცნა, რათა უბოძოსღვთაებრივი შვილება მათ,ვინც ნებაყოფლობითა და



თავისუფლებით შეიწყნარეს იგი, ესე იგი ხელმწიფება „შვილ ღმრთისა ყოფად“(იოანე 1,12). ნება მამისა იმაში მდგომარეობს, რომ მორწმუნეთაგანი არავინ წარწყმდეს, არამედ ყოველნი ღირს-იქმნენ აღდგომად; რათა ისინიხედვიდნენმის ძეს და ყოველთა რწმენეს მისი, ვითარცა „ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა“, და რათა აქუნდეთცხოვრებასაუკუნო და აღდგნენ უკანასკნელსა დღესა მას სასჯელისასა(იოანე 6,39-40).

ჭეშმარიტად აღდგება ყოველი მეორედ მოსვლის ჟამს, როგორც მართალნი, ასევე ცოდვილნი:

პირველნი - „აღდგომასა ცხორებისასა“, მეორენი - „აღდგომასასაშჯელისასა“(იოანე5,29). პირველნი აღდგებიან, რათა ამაღლდნენ სამუდამო მიგებებად და სამკვიდროდ ღმრთისა თანა მის სამეუფოში, ხოლო მეორენი - სასჯელად საუკუნო სატანჯველში(იხ. მათე 25, 31-46).

ღმრთის ძესსარწმუნოების მშვინვიერი თვალებით ვჭვრეტთ ამ ცხოვრებაში, რომლებიც განიხვნებიან ვნებებთან ბრძოლითა და კეთილისაქმეებით; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დახშულნი არიან და არ ძალუძთ მიიღონგონებით წვდომას აღმატებულისარწმუნოების დოგმატები და აგრეთვე მოყვასის გასაჭირი, გასაჭირი თითოეული „მცირეთაგანისა“ ძმისა, რომელიც ხატია ღმრთისა.

* * *

„წყარო ცხოვრებისა დასაბამი“, უფალი და ღმერთი ჩვენი, რათა დაგვანახოს ჩვენთან შეერთების გზა, გვარწმუნებს რომ იგი არს „პური ცხორებისაჲ“(იოანე 6,48), „რომელი ზეცით გარდამოჴდა, უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს“(იოანე 6,49). და შემდგომ განაგრძობს: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴედ. უკუეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხონდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათჳს სოფლისა“(იოანე 6, 50-51).

ღმერთკაცმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ აღასრულა საიდუმლო სერობა და თავი მსხვერპლად შესწირა ჯვარზე, რათა ჩვენღმერთეებასთან შეერთებული ხორცი თვისი გვიბოძოს, რომ გავხდეთ თანაზიარნი და თანამზრახველნი ღვთაებრივიცხოვრებისა. სიკვდილისა გემო იხილა, რათა სძლოს სიკვდილსა და აღსდგა, რათა მოგვანიჭოს აღდგომა მკვდრეთით.უკეთუ ჩვენ არ ვჭამთ მის ხორცს და არ ვსვამთმის სისხლს, ვერ მოვიპოვებთჭეშმარიტ და მარადიულ ცხოვრებას: „ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკანაჲსკნელსა მას დღესა, რამეთუ ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“(იოანე 6,53-54).

ცხადია, იმისათვის რომ მივემთხვიოთ საუკუნო ცხოვრებასა და აღდგომას, აუცილებელია ამ ცხოვრებაში ვიხმიოთ ღმერთმყოფელი წმინდა საიდუმლოებანი, მომნიჭებელნისულიწმიდისა. მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად ძალგვიძს სულიერი შიმშილისა და წყურვილის დაურვება და უკვდავი ნეტარი ცხოვრების მხურვალე სურვილით აგზნება, რომელსაც წინასწარვიგემებთ აწინდელ ცხოვრებაში.

* * *

აღდგომილი მაცხოვრის მიერ სულიერნო შვილნო,

რათა რათათანაზიარ-ვიქმნეთ დედა ეკლესიის საიდუმლო სერობისა და ჭეშმარიტად ვიდღესასწაულოთ აღდგომა ქრისტესიდა აღდგომა ჩვენი არსებისა, გვმართებს ვეგოთ სინანულითა და

ღმრთის შიშითგანმტკიცებულნი. ეს არის ჩვენი წვლილი, ჩვენი თანამონაწილეობის ძირითადი პირობა. ჩვენ ვმარხულობთ და მზა ვიყოფით, რათა მივსწუთეთ ბრწყინვალე აღდგომას, მაგრამმცდელობანი დაძალისხმევანი არ შეწყდებიან;სინამდვილეში მათ დასასრული არ გააჩნიათ.ჩვენი სული თავისი აღდგომის წინდობას მაშინ იღებს, როდესაც სინდისი არის წრფელი და არაფერში გვამხელს. რაც უფრო ვუახლოვდებით ღმერთს, მით უფრო განვეშორებით ცოდვის მონებას.

მტერი - ეშმაკი არ დაცხრება აღმართოს ჩვენშიგონებისმიერწინაღობათამთები:რომცოდვათითქოსცხოვრების წესია, თითქოს ის გადაულახავია; რომ ქრისტესმიერი ცხოვრებით შემდგომი სვლა რისკია, რომელიც ამ სამყაროში შიშით გვავსებს; შიშითკეთილდღეობის, სხვებთან ურთიერთობის, მისწრაფებებისა და თვითბიოლოგიურისიცოცხლისდაკარგვისა:შესაძლოაავადგავხდეთ, ვაითუშიმშილიცმოგვიწიოს,შეიძლებაუკვეგაჩაღებულისასტიკიომის უბედურებებში აღმოვჩნდეთ ჩათრეულნი,დაუბრკოლებლად გადაადგილებასა და მუშაობას ვეღარ შევძლებთ, რომ ჩვენ ვერ მოვასწრებთ ჩვენი ოცნებებისა და მისწრაფებებისა აღსრულებას...

ამყველაფრისშესაძლებლობა რომც დავუშვათ, იგი სინამდვილეში რეალურსაფუძველსმოკლებულია. არავისძალუძსწაგვართვასრწმენა, სასოება და სიყვარული. ვის შეუძლია განგვაშოროს ჩვენ ქრისტეს სიყვარულს!(რომ. 8,35-39). ეს მხოლოდ ცრუ დაშინებაა. ნუ გავებმებით ეჭვებისა და დათმობების ხაფანგში. მოვედით, მოთმინებითა და მხნედ გავსწიოთ იქეთ, საითაც აღმდგარი მაცხოვარი მოგვიწოდებს: ჯვარცმისა და აღდგომისკენ, ჩვენში დავანებულისინანულის სულით გარემოცულნი!დამაშინ აღდგომისმხიარულება და სავსებააღგვამაღლებს ღმრთაებრივი სიხარულისკენ, რომელსაც ვესწრაფით: ძლევის, ცხოვრებისა და საუკუნო სასუფევლისკენ. ამინ!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმაარიტად აღსდგა!

აღდგომა ქრისტესი 2021

წმინდა სინოდი
მთავარეპიკოპოსი † კალინიკე
ათენისა და სრულიად ელადისა
სინოდის წევრები